

სადეზინფექციო საშუალება «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» გამოყენების
მეთოდური მითითებები
დეზინფექციის, წინასასტერილიზაციო დამუშავების და სტერილიზაციის მიზნით

2. პროდუქტის გამოშვების ფორმა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები.
სადეზინფექციო საშუალება «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» წარმოადგენს ერთგვაროვან გამჭვირვალე კონცენტრირებულ სითხეს სუსტად გამოხატული მახასიათებელი სუნით. იგი კარგად იხსნება წყალში. ამ საშუალების წყალ ხსნარები არის გამჭვირვალე, თითქმის უფერო და უსუნო. პროდუქტის სამუშაო ხსნარებს აქვთ კარგი გამრეცხავი (რეცხვის უნარი არა ნაკლებ 85%), მადეზოდორებელი, დამასველებელი, მაემულგირებელი თვისებები, ისინი არ იწვევენ ლითონების კოროზიას, არ აზიანებენ კოროზიამდეგი და კოროზიისადმი არამდეგი ლითონებისგან, ასევე თერმომდგრადი და თერმოლაბილური მასალებისგან დამზადებულ ობიექტებს, ლაქ-საღებავების, გალვანური და პოლიმერული საფარის მქონე სამედიცინო ხელსაწყოების და მოწყობილობების ზედაპირებს, არ აუფერულებენ და არ ამცირებენ ქსოვილების სიმტკიცეს, არ ახდენენ ორგანული წარმოშობის დაბინძურების ფიქსირებას სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების ზედაპირზე, კარგად ირეცხება, არ ტოვებენ ნადებს და ლაქებს დასამუშავებელი ობიექტების ზედაპირებზე. ისინი აცილებენ მექანიკურ ჭუჭყს, ცილოვან, ცხიმოვან დაბინძურებას, სისხლის და სამკურნალო პრეპარატების ნარჩენებს გარე ზედაპირებიდან, სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების შიდა არხებიდან და ღრუებიდან, ახდენენ ნახველის და სხვა სეკრეციის ჰომოგენიზაციას.

3. პრეპარატის დანიშნულება. პრეპარატი «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» განკუთვნილია:

მიმდინარე, საბოლოო, პროფილაქტიკური დეზინფექციის და გენერალური დასუფთავების განხორციელებისთვის ნოზოკომიური (საავადმყოფოსშიდა) ინფექციების გამომწვევების დროს, ბაქტერიული ეტიოლოგიის ინფექციების დროს

(ტუბერკულოზის, საშიში და განსაკუთრებით საშიში ინფექციების: შავი ჭირის, ტულარემიას, მუცლის ტიფის, ქოლერას, კლოსტრიდიას, ლეგიონელოზის, *Listeria monocytogenes*, *P.aeruginosa* (ანტიბიოტიკებისადმი მდგრადის), *E.hirae*, *S.aureus*, მულტირეზისტენტური სტაფილოკოკის (MRSA), ენტეროჰემორაგიული ნაწლავის ჩხირის (*Escherichia coli*), სალმონელის, *Helicobacter pylori*-ის ჩათვლით), ვირუსული (მათ შორის, ჰეპატიტი A, პარენტერალური ვირუსული ჰეპატიტები (B, C), შიდსის ვირუსი (აივ), ჰერპესი, გრიპი, პარაგრიპი, "ფრინველის გრიპი" A(H5N1), "ღორის გრიპი" A(H1N1), კორონავირუსი, როტა-, პოლიო-(პოლიომიელიტი), კორონა-, პაპოვა-, ენტეროვირუსები, ჰანტავირუსები, ვაქცინიავირუსი, ადენოვირუსი, ვირუსი Avian influenza, ვირუსი ებოლა) და სოკოვანი (კანდიდოზები, დერმატომიკოზები, ობის სოკოები), სპორების დროს (*B.subtilis*, *B.anthracooides*, ციმბირის წყლული) ინფექციური დაავადებების კერებში, ჯანდაცვის დაწესებულებებში და ყველა პროფილის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, მათ შორის ბავშვთა და დღის სტაციონარებში, ნეონატოლოგიის განყოფილებებში, პალატებში, ბლოკებში და ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში, სამანიპულაციო, საოპერაციო ოთახებში, შესახვევ კაბინეტებში, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქირურგიულ, თერაპიულ, პედიატრიულ, სამეანო, გინეკოლოგიურ, ოფთალმოლოგიურ, ფიზიოთერაპიულ განყოფილებებში, სამშობიარო სახლებში, კლინიკებში, სტომატოლოგიურ კლინიკებში და კაბინეტებში, ჰოსპიტლებში, ამბულატორიებში, დისპანსერებში, საფელდშერო და საფელდშერო-სამეანო პუნქტებში, ორგანოთა ტრანსპლანტაციის ცენტრებში, სამედიცინო სანიტარულ ნაწილებში და სამედიცინო პუნქტებში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურებში, დონორების პუნქტებში, სისხლის გადასხმის განყოფილებებში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებში და პათოლოგოანატომიურ განყოფილებებში, სანატორიუმებში, სამკურნალო-პროფილაქტიკური უბნებში, ჰოსპისებში, სარეაბილიტაციო ცენტრებში, მოსახლეობის სოციალური დაცვის დაწესებულებებში, სანიტარული შემოწმების ოთახებში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დაწესებულებებში, სამედიცინო პროფილურ ცენტრებში, კლინიკურ, მიკრობიოლოგიურ, ბიოქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ, ვირუსოლოგიურ, სეროლოგიურ და სხვა პროფილურ სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებში და ა.შ.;

- დეზინფექციისთვის, სადეზინფექციო და წინასასტერილიზაციო დამუშავების პროცესების შეთავსებისთვის (ხელით და მექანიზებული ხერხით ულტრაბგერითი წმენდის დანადგარებში) და ერთჯერადი და მრავალჯერადი გამოყენების სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამედიცინო დანიშნულების ყველა სახის ნაკეთობების სტერილიზაციისთვის, მოქნილი და ხისტი ენდოსკოპების (რომლებიც გამოიყენება ბრონქოსკოპიის, ლარინგოსკოპიის, ჰისტეროსკოპიის, გასტროსკოპიის, კოლონოსკოპიის, ექოენდოსკოპიის, ართროსკოპიის, ლაპაროსკოპიის ჩატარებისთვის) და მათთვის საჭირო ინსტრუმენტების ჩათვლით; ჩამონათვალში შედის ასევე ქირურგიული (მათ შორის, მიკროქირურგიული), გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური ინსტრუმენტები (მათ შორის, ჰიდრავლიკური კონტურები სტომატოლოგიური კვანძებისთვის, ენდოდონტური, მბრუნავი, ორთოპედიული ხელსაწყოები, საანაბეჭდე კოვზები), სტომატოლოგიური მასალები (მათ შორის, ალგინატის, სილიკონის, პოლიეთერის ფისის ანაბეჭდები, კბილსაპროთეზო ნამზადები, ტვიფრები, ხიდები, გვირგვინები, არტიკულატორები და ა.შ.), ყველა სახის ზონდები, კათეტერები, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკური აპარატების თავები, ინტრაოპერაციული და ექოკარდიოგრაფიული გადამწოდები, თერმომგრძნობიარე მასალები ანესთეზიისთვის, მათ შორის ნიღბები, მოქნილი და ხისტი მილები, კათეტერები, სანარკოზე-სასუნთქი აპარატურის შლანგები;

- ენდოსკოპების მაღალი დონის დეზინფექციისთვის;

- სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამედიცინო დანიშნულების ყველა სახის ნაკეთობების და სამედიცინო ინსტრუმენტების წინასასტერილიზაციო გაწმენდისთვის, მოქნილი და ხისტი ენდოსკოპებისა და მათთვის განკუთვნილი ინსტრუმენტების ჩათვლით;

- ინკუბატორების დეზინფექციისთვის ნეონატოლოგიის განყოფილებებში;

- დეზინფექციისთვის, დეზინფექციისა და წინასასტერილიზაციო დამუშავების პროცესების შეთავსებისთვის, აგრეთვე საპარიკმახერო, მანიკურის, პედიკურის, კოსმეტიკური ინსტრუმენტების და საკუთნოების სტერილიზაციისთვის მომსახურების სფეროს საწარმოებში;

- სათავსების ზედაპირების (იატაკი, კედლები, ფანჯრის რაფები და ა.შ.), ავეჯის, მოწყობილობის საგნების, სამედიცინო ხელსაწყოების, აპარატებისა და მოწყობილობების (მათ შორის, განსაკუთრებით მგრძნობიარე მოწყობილობების და

სანარკოზე-სასუნთქი აპარატურის ხელსაწყოების, პაციენტების ქირურგიულ-რენიმაციული მონიტორების, ულტრაბგერითი გამოკვლევების აპარატების გადამწოდების, რენტგენდიაგნოსტიკური სისტემების და კომპლექსების, რადიოლოგიური და ციფრული დიაგნოსტიკური მოწყობილობის, კომპიუტერული ტომოგრაფიის მოწყობილობების, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის, ანგიოგრაფული სისტემების, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის მოწყობილობის და სხვ., პაციენტის მოვლის საშუალებების (შესადგმელი ღამის ჭურჭელი, რეზინის სათბურა, ყინულიანი ბუშტები, მუშამბა და ა.შ.), თერმომეტრების, ტონომეტრების, ჰიგიენის საშუალებების, სალაბორატორიო, სასადილო, სამზარეულო, სააფთიაქო ჭურჭლის (მათ შორის, ერთჯერადი გამოყენების), თეთრეულის, თეთრეულის დაწობისთვის და ტრანსპორტირებისთვის საჭირო ურიკების, ტარის, კონტეინერების, თეთრეულის, სათამაშოების, სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის, დასუფთავების ინვენტარის, რეზინის ხალიჩების შენახვისთვის განკუთვნილი სტელაჟების და ა.შ. დეზინფექციისა და ერთდროული რეცხვის შეთავსებისთვის;

- სტომატოლოგიურ კაბინეტებში და კლინიკებში ნერწყვგამწოვი დანადგარების, საფურთხებლების და სხვ. დეზინფექციისთვის და რეცხვისთვის;

- სპეციალური ფეხსაცმლის დეზინფექციისთვის (სადეზინფექციო ხალიჩებში გამოყენებისთვის) სამკურნალო-პროფილაქტიკური და სხვა დაწესებულებების და საწარმოების “კრიტიკულ ზონებში” შესვლამდე;

- გამოყენებული ერთჯერადი სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების, ტექსტილის მასალებისგან დამზადებული სამედიცინო ნარჩენების (მათ შორის, სახვევი მასალა, ბამბის ტამპონები, ხელსახოცები და მისთ.), ერთჯერადი თეთრეულის, ბიოლოგიური სითხეების გამონაყოფისთვის (სისხლი, პლაზმა, ლორწო, ნახველი, ნერწყვი და ა.შ.) განკუთვნილი ჭურჭლის გაუსნებოვნებისთვის უტილიზაციის განხორციელებამდე;

- ჰაერის დეზინფექციისთვის სხვადასხვა ობიექტებზე გაფრქვევის მეთოდით, სავენტიაციო და ჰაერის კონდიციონერების სისტემების გაუვნებლობისთვის (საყოფაცხოვრებო კონდიციონერები, სპლიტ-სისტემები, მულტიზონალური სპლიტ-სისტემები და ა.შ.);

- ნაგავსატარების, კონტეინერებისა და ნაგვისთვის განკუთვნილი სხვა სათავსების დეზინფექციისთვის და რეცხვისთვის;

- ტექნოლოგიური მოწყობილობისა და აღჭურვილობის დეზინფექციისთვის და რეცხვისთვის საკვების გადამამუშავებელ, ფარმაცევტულ, მიკრობიოლოგიურ, ბიოტექნოლოგიურ, პარფიუმერულ და კოსმეტიკურ მრეწველობაში;

- მიმდინარე, საბოლოო, პროფილაქტიკური დეზინფექციის და გენერალური დასუფთავების ჩატარებისთვის;

- ზემოთ მითითებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ და ჯანდაცვის დაწესებულებებში;

- სხვადასხვა დაქვემდებარების ლაბორატორიებში;

- სააფთიაქო დაწესებულებებში (აფთიაქები, სააფთიაქო კიოსკები, სააფთიაქო მაღაზიები, სააფთიაქო საწყობები და ა.შ.);

- მოზრდილთა და ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში (დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, პროფილაქტორიუმები, მათ შორის, ფუნქციური დიაგნოსტიკის, ფიზიოთერაპიის კაბინეტები, ბალნეოლოგიური სახლები, მოხუცებულთა სახლები და პანსიონატები და ა.შ.);

- აკრედიტაციის სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო-სააღსაზრდელო დაწესებულებებში და სასწავლო ცენტრებში, საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში;

- საჯარისო ნაწილებში;

- პენიტენციალური სისტემის დაწესებულებებში;

- პარფიუმერულ-კოსმეტიკური, ფარმაცევტული, ქიმიური, ბიოტექნოლოგიური, მიკრობიოლოგიური, საკვების გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში (სახაბაზოები, საკონდიტრო ფაბრიკები, რძის პროდუქტების კომბინატები და ხორცის გადამამუშავებელი ქარხნები);

- სარესტორნო მომსახურების ობიექტებზე და სავაჭრო დაწესებულებებში (სასადილოები, რესტორნები, სადისტრიბუციო (სარიგებელი) ხაზები, მაღაზიები, ბაზრები და ა.შ.);

- მოძრავ შემადგენლობაზე და ყველა სახის ტრანსპორტის უზრუნველყოფის ობიექტებზე (მათ შორის, სანიტარულ ტრანსპორტზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებზე, საზოგადოებრივ, სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო, საგზაო, საჰაერო ტრანსპორტზე), რკინიგზის სადგურებზე, აეროპორტებში და ა.შ.;

- სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში (სპორტული კომპლექსები, აუზები და სხვ.), აგრეთვე წვრთნების, ვარჯიშის, შეჯიბრის, სასწავლო-საწვრთნელი მომზადების ჩატარების ადგილებში, საზოგადოებრივ პლაჟებზე;

- კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე (სასტუმროები, კემპინგები, ბანაკები, საერთო საცხოვრებლები, საპარიკმახეროები, სილამაზის სალონები, SPA-ცენტრები, მანიკურის, პედიკურის სალონები, კოსმეტოლოგიური კლინიკები, სალონები, კაბინეტები, სოლარიუმები, აბანოები, საუნები, სამრეცხაოები, ქიმწმენდები და ა.შ.);

- დასვენებისა და გართობის სფეროს დაწესებულებებში (კინოთეატრები, თეატრები, კულტურული და გამაჯანსაღებელი კომპლექსები და ა.შ.);

- სოციალური დაცვის ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ჰოსპისებში, საკომუნიკაციო ორგანიზაციებში და საბანკო დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო პირობებში (ბინები, კერძო სახლები);

- საზოგადოებრივ ტუალეტებში, ბიოტუალეტებში და ა.შ.;

- ქარხნებში, ფაბრიკებში, საწყობებში და საცავებში, ქალაქის არქივების, ბიბლიოთეკის საცავების, მარცვლეულის, კვების პროდუქტების, სამკურნალწამლო საშუალებების, ჰიგიენის ნაწარმის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე და ა.შ.

4. პრეპარატის სპეციფიკური ბიოლოგიური თვისებები: ანტიმიკრობული მოქმედების სპექტრი. სადეზინფექციო საშუალებას «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» აქვს ანტიმიკრობული აქტიურობა ნოზოკომიური (საავადმყოფოსშიდა) ინფექციების პათოგენების მიმართ, ბაქტერიული ეტიოლოგიის ინფექციების მიმართ (ტუბერკულოზის, საშიში და განსაკუთრებით საშიში ინფექციების ჩათვლით: შავი ქირი, ტულარემია, ტიფური ცხელება, ქოლერა, კლოსტრიდია, ლეგიონელოზი, *Listeria monocytogenes*, *P.aeruginosa* (ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი), *E.hirae*, *S.aureus* (მეთიცილინისადმი მდგრადი), მულტირეზისტენტული სტაფილოკოკი (MRSA), ენტეროკემორაგიული ნაწლავის ჩხირი (*Escherichia coli*), სალმონელეები, *Helicobacter pylori*), ვირუსული ეტიოლოგიის ინფექციების მიმართ (მათ შორის, ჰეპატიტი A, პარენტერალური ვირუსული ჰეპატიტი (B, C), შიდსის ვირუსი (აივ), ჰერპესი, გრიპი, პარაგრიპი, „ფრინველის გრიპის“ ვირუსი A(H5N1),

„ღორის გრიპის“ ვირუსი A(H1N1), კორონავირუსები, როტა-, პოლიო- (პოლიომიელიტი), კორონა-, პაპოვა-, ენტეროვირუსები, ჰანტავირუსები, ვაქცინიავირუსი, ადენოვირუსი, Avian influenza ვირუსი, ებოლას ვირუსი), ასევე სოკოვანი ეტიოლოგიის ინფექციების მიმართ (კანდიდოზები, დერმატომიკოზები, ობის სოკოები), აქვს სპოროციდული თვისებები (B.subtilis, B.anthracooides, ციმბირის წყლული).

5. სადეზინფექციო საშუალების ტოქსიკურობა და უსაფრთხოება. პრეპარატი «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» მწვავე ტოქსიკურობის პარამეტრების მიხედვით, კლასიფიკაციის შესაბამისად, კუჭში შეყვანისას მიეკუთვნება ზომიერად საშიში ნივთიერებების მე-3 კლასს, ინჰალაციური ზემოქმედების პირობებში (ორთქლის სახით) და კანზე დატანებისას - დაბალი საშიშროების ნივთიერებათა მე-4 კლასს. დეზინფექციის მიზნით რეკომენდებულ კონცენტრაციებში პროდუქტს არ აქვს კან-გამაღიზიანებელი თვისებები, არ იწვევს თვალისა და ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას.

6. სამუშაო ხსნარის შენახვის ვადა და პირობები. პროდუქტის სამუშაო ხსნარების ვარგისიანობის ვადა შეადგენს 16 დღეს, იმ პირობით, რომ ინახება ტარაში მჭიდროდ დახურული თავსახურავით.

7. ცალკეული ობიექტების გაუსწებოვნების მეთოდები. დეზინფექცია ხორციელდება ზედაპირების გადაწმენდის, მოსხურების, ჩაძირვის და დასველების მეთოდით.

7.1. სათავსების ზედაპირებს (იატაკი, კედლები, კარები, ფანჯრის ჩარჩოები და ა.შ.), მოწყობილობის საგნებს (მყარი ავეჯი და სხვ.) ასხურებენ ან გადაწმენდენ სადეზინფექციო საშუალების ხსნარით დასველებული ჩვრებით. რბილი ავეჯის დეზინფექცია ხორციელდება პრეპარატის ხსნარით დასველებული ჯაგრისის მეშვეობით. სადეზინფექციო საშუალების სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა შეადგენს 100 მლ / მ²-ს.

ზედაპირების დეზინფექცია პრეპარატით «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ასევე ხორციელდება გაფრქვევის მეთოდით ნისლის გენერატორის მეშვეობით, დასამუშავებელი ზედაპირის 1 მ²-ზე 30 მლ სამუშაო ხსნარის ხარჯვით.

სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარით დამუშავების შემდეგ ადგილი აქვს ნარჩენი (პროლონგირებული) ანტიმიკრობული მოქმედების უნარს. ნებადართულია არ ჩატარდეს ზედაპირების სველი წესით დასუფთავება ექსპოზიციის დროის ამოწურვის შემდეგ.

სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოების დეზინფექციის დასრულების შემდეგ, მათ რეცხავენ გამდინარე წყლით 3 წუთის განმავლობაში და ავლებენ წყალში 0,5-1,0 წუთის განმავლობაში. არხები და ღრუები ირეცხება გამდინარე წყლით მათი გამჭოლი გამოტუმბვის გზით, უწვეტი მოქმედების ტიპის შპრიცების ან ელექტროშემწოვის მეშვეობით. ამის შემდეგ, ხორციელდება ნაკეთობების გამოშრობა სუფთა ქსოვილის ხელსახოცების საშუალებით.

სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობებისთვის და მათი ნაწილებისთვის, რომლებიც უშუალოდ არ ეხება პაციენტს, ნებადართულია ორჯერადი, 15 წუთის ინტერვალით, გაწმენდა სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» სამუშაო ხსნარში დასველებული ქსოვილით და შემდგომი დაყოვნებით დადგენილი ექსპოზიციის შესაბამისად. დეზინფექციის შემდეგ, სამედიცინო დანიშნულების საგნები და ნაკეთობები ირეცხება გამდინარე წყლით 3 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ, ნაკეთობებს ავლებენ გამოხდილი წყლით 0,5-1,0 წუთის განმავლობაში, აშრობენ სუფთა ქსოვილის ხელსახოცების მეშვეობით და ინახავენ სამედიცინო კარადაში.

7.2. სამედიცინო დანიშნულების საგნების და ნაკეთობების დეზინფექცია და დეზინფექციის პროცესების წინასასტერილიზაციო დამუშავებასთან კომბინირება შეიძლება ჩატარდეს მექანიზებული მეთოდით ყველა ულტრაბგერით დანადგარებში, ულტრაბგერითი მოწყობილობების მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად.

7.3. დეზინფექცია (მათ შორის, მაღალი დონის დეზინფექცია) და მოქნილი და ხისტი ენდოსკოპების სადეზინფექციო და წინასასტერილიზაციო გაწმენდის პროცესების შეთავსება ხორციელდება ხელით, ავტომატიზებული ან ცირკულაციური მეთოდით.

7.4. სამედიცინო დანიშნულების საგნების და ნაკეთობების დეზინფექციისთვის, მათ შორის, მათი წინასასტერილიზაციო დამუშავების პროცესთან კომბინირებული დეზინფექციისთვის და ენდოსკოპების მაღალი დონის დეზინფექციისთვის, ნებადართულია სადეზინფექციო საშუალების «ზომა

სპექტრი (Zoma Spectre)» სამუშაო ხსნარების მრავალჯერადი გამოყენება მათი ვარგისობის ვადის განმავლობაში, იმ პირობით, რომ არ არსებობს დაბინძურების ვიზუალური ნიშნები (ამღვრევა, ფანტელების გამოჩენა და ა.შ.). ხსნარის გარეგნული სახის შეცვლის პირველივე ნიშნების გაჩენის და აქტიური ნივთიერებების შემცველობაზე ხსნარის ქიმიურ-ანალიზური კონტროლის უარყოფითი შედეგების შემთხვევაში, ხსნარი უნდა შეიცვალოს.

სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» სამუშაო ხსნარები სამედიცინო დანიშნულების საგნების და ნაკეთობების წინასასტერილიზაციო დამუშავებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალჯერადი მათი ვარგისობის ვადის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ხსნარის გარეგნულ სახეში რაიმე ცვლილებები არ შეინიშნება (ამღვრევა, ფანტელების გამოჩენა და ა.შ.).

7.5. ლითონისგან, მინისგან, პოლიმერული მასალებისგან, რეზინისგან და სხვა მასალისგან დამზადებული სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების (მათ შორის, თერმოლაბილური ქირურგიული, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური ინსტრუმენტების, მოქნილი და ხისტი ენდოსკოპების და მათთვის განკუთვნილი სამედიცინო ინსტრუმენტების) სტერილიზაცია პრეპარატის «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» სამუშაო ხსნარით ხორციელდება დეზინფექციის, წინასასტერილიზაციო გაწმენდის, წყლით გავლების და გაშრობის შემდეგ.

ობიექტების დეზინფექციის რეჟიმები სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით ბაქტერიული ეტიოლოგიის ნაწლავური და წვეთოვანი ინფექციების (მათ შორის, *Listeria monocytogenes*, *P.aeruginosa* (ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი), *E.hirae*, *S.aureus*, მულტირეზისტენტული სტაფილოკოკის (MRSA), ენტეროჰემორაგიული ნაწლავის ჩხირის (*Escherichia coli*), სალმონელის, *Helicobacter pylori* (ტუბერკულოზის გარდა), ნოზოკომიური (საავადმყოფოსშიდა) ინფექციების პათოგენების) დროს *.

0.05%-იანი - 60 წუთი, 0.1%-იანი - 30 წუთი.

- ობიექტების დეზინფექციის რეჟიმები სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით ტუბერკულოზის დროს.

0.02%-იანი - 240 წუთი, 0.05%-იანი - 120 წუთი, 0.1%-იანი - 60 წუთი, 0.2%-იანი - 30 წუთი, 0.3%-იანი - 15 წუთი.

- ობიექტების დეზინფექციის რეჟიმები სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით კანდიდოზის დროს.

0.05%-იანი - 60 წუთი, 0.1%-იანი - 30 წუთი.

- ობიექტების დეზინფექციის რეჟიმები სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით დერმატომიკოზების, ობის სოკოების და საშიში და განსაკუთრებით საშიში ინფექციების (მათ შორის, შავი ჭირის, ტულარემიის, მუცლის ტიფის, ქოლერის, ლეგიონელეზის, კლოსტრიდიის) დროს.

0.1%-იანი - 90 წუთი, 0.2%-იანი - 60 წუთი.

- სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების (მოქნილი და ხისტი ენდოსკოპების და მათთვის საჭირო ინსტრუმენტების ჩათვლით, ქირურგიული, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური ინსტრუმენტების და ა.შ.) წინასასტერილიზაციო დამუშავებასთან კომბინირებული დეზინფექციის რეჟიმები პრეპარატის «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით.

დასველება 0.1%-იანი - 30 წუთი, 0.25%-იანი - 15 წუთი, 0.5%-იანი - 5 წუთი, ტუბერკულოზის დროს კონცენტრაცია უნდა გაორმაგდეს.

- სანარკოზე-სასუნთქი აპარატურის (მათ შორის, ნიღბები, შლანგები, მილები და მისთ.) დეზინფექციის რეჟიმები სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით ბაქტერიული ინფექციების (ტუბერკულოზის ჩათვლით), ნოზოკომიური (საავადმყოფოსშიდა) ინფექციების გამომწვევების, ვირუსული ინფექციების და კანდიდოზების დროს; დერმატომიკოზების, ობის სოკოების, განსაკუთრებით საშიში ინფექციების დროს.

დასველება 0.2%-იანი - 30 წუთი, 0.3%-იანი - 15 წუთი, რეცხვა 5 წუთი.

- სამედიცინო დანიშნულების საგნების და ნაკეთობების (მათ შორის, მოქნილი და ხისტი ენდოსკოპების და მათთვის საჭირო ინსტრუმენტების, ქირურგიული, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური ინსტრუმენტების და ა.შ.), კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტების სტერილიზაციის რეჟიმები, ენდოსკოპების მაღალი დონის დეზინფექციის რეჟიმები პრეპარატის «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით.

სტერილიზაცია, ხსნარში სრულად ჩაძირვა - 2.5%-იანი - 180 წუთი, 4%-იანი - 60 წუთი, 5%-იანი - 15 წუთი.

მაღალი დონის დეზინფექცია, ჩაძირვა 1%-იანი - 5 წუთი.

- სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების (მათ შორის, მოქნილი და ხისტი ენდოსკოპების და მათთვის საჭირო ინსტრუმენტების, ქირურგიული, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური ინსტრუმენტების და ა.შ.) წინასასტერილიზაციო დამუშავების რეჟიმები სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით.

დასველება 0.1%-იანი - 15წუთი, რეცხვა 0.1%-იანი - 1-3 წუთი.

- ობიექტების დეზინფექციის რეჟიმები პრეპარატის «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარებით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში გენერალური დასუფთავების ჩატარებისას გადაწმენდის მეთოდით.

0.05%-იანი - 60 წუთი, 0.1%-იანი - 30 წუთი.

დეზინფექციის ობიექტი	ბაქტერიოლოგიური და ვირუსული ეთიოლოგიის დროს	განზავების წესი
ზედაპირები და ინვენტარი (საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებები), სამედიცინო დაწესებულებები	0.05% - 60 წთ	5 მლ 10 ლიტრ წყალზე
	0.1%- 30 წთ	10 მლ 10 ლიტრ წყალზე
	0.25% - 15 წთ	25 მლ 10 ლიტრ წყალზე
	0.5% - 5 წთ	50 მლ 10 ლიტრ წყალზე
სამედიცინო დანიშნულების ინვენტარი და ინსტრუმენტები	0.1%- 30 წთ	10 მლ 10 ლიტრ წყალზე
	0.25% - 15 წთ	25 მლ 10 ლიტრ წყალზე
	0.5% - 5 წთ	50 მლ 10 ლიტრ წყალზე
ტუბერკულოზის დროს ექსპოზიის დრო ორმაგდება		
დეზობარიერი	0.5% (გაანახლეთ ყოველდღე)	5 მლ -1 ლიტრ წყალზე
სტერილიზაცია	ხსნარში სრულად ჩაძირვა – 2.5%- 180 წთ	250 მლ 10 ლიტრ წყალზე
	ხსნარში სრულად ჩაძირვა – 4%- 60 წთ	400 მლ 10 ლიტრ წყალზე
	ხსნარში სრულად ჩაძირვა – 5%- 15 წთ.	500 მლ 10 ლიტრ წყალზე
მაღალი დონის დეზინფექცია (დრეკადი და ხისტი ენდოსკოპები)	ხსნარში სრულად ჩაძირვა 1.0% - 5 წთ	100 მლ 10 ლიტრ წყალზე
სანარკოზე-სასუნთქი მოწყობილობების ნაწილები (მათ შორის ნიღბები)	ხსნარში სრულად ჩაძირვა 0.05% - 60 წთ	5 მლ 10 ლიტრ წყალზე
მზა ხსნარის გახარჯვა ზედაპირების დეზინფექცია-დალაგების დროს - 100 მლ 1 კვადრატული მეტრზე.		

8. უსაფრთხოების ზომები სადეზინფექციო საშუალებასთან მუშაობის დროს

8.1 აუცილებელი ზომები პროდუქტთან მუშაობის დროს კანის, სუნთქვის ორგანოების და თვალების დასაცავად. სადეზინფექციო საშუალების კონცენტრატის გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს დამცავი ტანსაცმლით, ხელების კანი დაცული უნდა იყოს ხელთათმანების მეშვეობით, თავიდან უნდა იქნას აცილებული თვალებსა და კანზე მოხვედრის შესაძლებლობა.

8.2. სიფრთხილის ზომები სამუშაო ხსნარების დამზადებისას და ცალკეული ობიექტების დამუშავების მიზნით პროდუქტის გამოყენების პირობებში. ნებადართულია სამუშაო ხსნარების დამზადება, ობიექტების დეზინფექციის ჩატარება სადეზინფექციო საშუალების «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ხსნარების 0.5%-იანი ან ნაკლები კონცენტრაციებით გადაწმენდის, დასველების, ხსნარში ჩაძირვის (თავსახურავით დახურულ ჭურჭელში) მეთოდით, პაციენტებისა და იმ პირების თანდასწრებით, რომლებიც არ არიან უშუალოდ დაკავშირებული სადეზინფექციო ღონისძიებების ჩატარებასთან (პაციენტების, მათ შორის ბავშვების, სკოლის მოსწავლეების, დასასვენებელი, გასართობი დაწესებულებების, საპარიკმახეროების ვიზიტორების, სატრანსპორტო საშუალებების მგზავრების და ა.შ.), სუნთქვის ორგანოებისა და თვალების დაცვის გარეშე.

9. მწვავე მოწამვლის ნიშნები. პირველადი დახმარების ღონისძიებები მოწამვლის დროს.

9.1. მწვავე მოწამვლის ნიშნები. იმ შემთხვევაში, თუ სიფრთხილის ზომები არ არის დაცული და სადეზინფექციო საშუალების მოსხურების მეთოდით მიმდინარე სამუშაოების ჩატარების წესები დარღვეულია, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კანის, თვალების და ზედა სასუნთქი გზების ადგილობრივ გამაღიზიანებელ რეაქციებს, ჰიპერემიის, შეშუპებისა და ცრემლდენის შემდგომი განვითარებით და ყელის ქავილის, სურდოს, ხველების წარმოქმნით.

9.2. პირველადი დახმარების ზომები პროდუქტით მწვავე (რესპირატორული) მოწამვლისას. დაზარალებული დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადაყვანილი სუფთა ჰაერზე ან კარგად ვენტილირებად გარემოში, ჩაუტარდეს პირის და ცხვირ-ხახის ამორეცხვა სასმელი წყლით, მიეცეს თბილი სასმელი (ჩაი, რძე). აუცილებელია ექიმთან მიმართვა.

9.3. პირველადი დახმარების ზომები სადეზინფექციო საშუალების თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში. სადეზინფექციო საშუალების თვალებში

მოხვედრის შემთხვევაში, საჭიროა მათი ჩამოხანვა გამდინარე წყლით 10-15 წუთის განმავლობაში, თვალეში 30.0%-იანი ნატრიუმის სულფაცილის ხსნარის 1-2 წვეთის ჩაწვეთება და ექიმთან მიმართვა.

9.4. პირველადი დახმარების ზომები სადეზინფექციო საშუალების კანზე მოხვედრისას. პრეპარატის კანზე შემთხვევით მოხვედრის შემთხვევაში, რეკომენდებულია კანის დაზიანებული უბნის ჩამოხანვა გამდინარე წყლის ჭავლით. სადეზინფექციო საშუალების ტანსაცმელზე მოხვედრისას, საჭიროა მისი გახდა და ხელმეორედ გამოყენებამდე გარეცხვა. რეკომენდებულია გამდინარე წყლით კანის ადგილის ჩამოხანვა ტანსაცმლის ქვეშ.

9.5 პირველადი დახმარების ზომები სადეზინფექციო საშუალების კუჭში მოხვედრისას. სადეზინფექციო საშუალების კუჭში შემთხვევით მოხვედრისას, აუცილებელია დაზარალებულმა დალიოს რამდენიმე ჭიქა წყალი გააქტივებული ნახშირის 10-20 დაქუცმაცებული ტაბლეტით. არ გამოიწვიოთ ლებინება! მიმართეთ ექიმს.

10. შენახვის პირობები, ტრანსპორტირება, შეფუთვა

10.1. სადეზინფექციო საშუალების შენახვის ვადა და პირობები. სადეზინფექციო საშუალება «ზომა სპექტრი (Zoma Spectre)» ინახება მწარმოებლის ჰერმეტიკულად დალუქულ ტარაში, კარგად ვენტილირებად, გადახურულ, გაუმთბარ სასაწყობო სათავსებში, რომლებიც დაცულია ტენისგან და მზის პირდაპირი სხივებისგან, ტემპერატურაზე 0°C-დან +40°C-მდე. პრეპარატი ინახება ღია ცეცხლის და სითბოს წყაროებისგან მოშორებით. სადეზინფექციო საშუალების შენახვის საგარანტიო ვადა შეადგენს წლის 36 თვეს დამზადების თარიღიდან.

10.2. პრეპარატი დაფასოებულია ქარხნულად (ისხმევა) პოლიეთილენის ბოთლებში - 20 ლ, 5 ლ, 1 ლ, 750 მლ, 600 მლ, 500 მლ, 250 მლ ან 60 მლ ტევადობით დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად

შპს კლინტექ; ს/კ 204 442 451

მისამართი: ქ.თბილისი, ფონიჭალა, რუსთავის გზატკეცილი #68ა

ტელ: +995 (595) 608 778

www.zoma.ge;

info@zoma.ge